365/3.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

14

1 (270) 15 იანვარი 1965 წელი

585/3

შინაარსი

ნაწილი I

განყოფილება პირველი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა I და II ჯგუფის ინვალიდებისა და იმ ოჯახებისათვის, რომელთაც მარჩენალი დაჰკარგეს, სახელმწიფო პენსიების მინიმალური ოდენობის გადიდების შესახებ.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ბ. გ. ბოგოროვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კომპოზიტორ დ. ბ. კაბალევსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ რ. ი. სირგეს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. ა. კოვდას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა იაროსლავლის ფ. გ. ვოლ[illegible]კოვის სახელობის დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორ ფ. ე. შიშიგინისათვის [illegible] კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მოსკოვის ზოოპარკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ა. მელნიკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

[illegible] ბიბლიოთ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. მ. ლედოვსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
10. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მაიორ ბ. ი. რიაბცევისთვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ.
11. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავ ან-2 ეკიპაჟის წევრების ამხ. ა. გ. შეველევის და ამხ. ვ. გ. ბაიდეცის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
12. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ა. პ. გაიდარის (გოლიკოვის) სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
13. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ინჟინერ ვ. ს. გუბინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
14. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. ტ. პიმენოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
15. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის მეთაურის მ. მ. როდკინის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
16. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ნ. ნ. ტარნოვსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
17. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა აკადემიკოს ა. ა. იმშენეცკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნებების სიგელები გადასცა კენიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ა. ოტუკომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი I

განყოფილება პირველი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

I და II ჯგუფის ინვალიდებისა და იმ ოჯახებისათვის, რომელთაც მარჩენალი დაჰკარგეს, სახელმწიფო პენსიების მინიმალური ოდენობის გადიდების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს**:

1. გაუდიდდეს სახელმწიფო პენსიების მინიმალური ოდენობა:

I ჯგუფის ინვალიდებს მუშების, მოსამსახურეების და ვადიანი სამსახურის რიგითი, სერჟანტთა და ზემდეგთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეთაგან (ინვალიდობის მიზეზის მიუხედავად) — თვეში 50 მანეთამდე;

II ჯგუფის ინვალიდებს შრომითი დასახიჩრების ან პროფესიული დაავადების შედეგად შრომისუნარიანობას მოკლებული მუშა-მოსამსახურეთა და ვადიანი სამსახურის რიგითი, სერჟანტთა და ზემდეგთა შემადგენლობის იმ სამხედრო მოსამსახურეთაგან, რომლებიც დაინვალიდდნენ სსრ კავშირის დაცვის ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად, ან ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად, — თვეში 35 მანეთამდე;

II ჯგუფის ინვალიდებს საერთო დაავადების შედეგად შრომის უნარიანობას მოკლებული მუშა-მოსამსახურეთა და ვადიანი სამსახურის რიგითი, სერჟანტთა და ზემდეგთა შემადგენლობის იმ სამხედრო მოსამსახურეთაგან, რომლებიც დაინვალიდდნენ ისეთი უბედური შემთხვევის შედეგად მიღებული დასახიჩრების გამო, რომელიც დაკავშირებული არ იყო სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულებასთან, ან ისეთი დაავადების შედეგად, რომელიც არ არის დაკავშირებული ფრონტზე ყოფნასთან; — თვეში 30 მანეთამდე;

მუშა-მოსამსახურეების და ვადიანი სამსახურის რიგითი, სერჟანტთა და ზემდეგთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეების ოჯახებს მარჩენალის დაკარგვის გამო:

ოჯახის სამ ან მეტ შრომისუნარმოკლებულ წევრზე — 50 მანეთამდე თვეში;
ოჯახის ორ შრომისუნარმოკლებულ წევრზე — 30 მანეთამდე თვეში;
ოჯახის ერთ შრომისუნარმოკლებულ წევრზე — 21 მანეთამდე თვეში.

2. I და II ჯგუფის ინვალიდებისა და იმ ოჯახებისათვის, რომელთაც დაჰკარგეს მარჩენალი, სახელმწიფო პენსიების მინიმალური ოდენობის გადიდებასთან დაკავშირებით სახელმწიფო პენსიების კანონში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

22 და 39 მუხლების ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია პენსიების მინიმალურ ოდენობაზე, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პენსიების მინიმალური ოდენობა წესდება: I ჯგუფის ინვალიდობისათვის — 50 მანეთი თვეში; II ჯგუფის ინვალიდობისათვის — 35 მანეთი, III ჯგუფის ინვალიდობისათვის — 21 მანეთი“;

ეროვნული ბიბლიოთეკა

23 და 40 მუხლების ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია პენსიების მინიმალურ ოდენობაზე, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მინიმალური ოდენობის პენსიები უწესდებათ: I ჯგუფის ინვალიდობისათვის — 50 მანეთი თვეში; II ჯგუფის ინვალიდობისათვის — 30 მანეთი; III ჯგუფის ინვალიდობისათვის — 16 მანეთი“;

33 და 34 პენსიების მუხლების ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია პენსიების მინიმალურ ოდენობაზე, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პენსიების მინიმალური ოდენობა წესდება: ოჯახის სამ ან მეტ წევრზე — 50 მანეთი თვეში; ოჯახის ორ წევრზე — 30 მანეთი; ოჯახის ერთ წევრზე — 21 მანეთი“.

45 მუხლის ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია პენსიების ოდენობაზე, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

I ჯგუფის ინვალიდებს — 50 მანეთი თვეში
II ჯგუფის ინვალიდებს — 35 მანეთი თვეში
III ჯგუფის ინვალიდებს — 21 მანეთი თვეში“;

46 მუხლის ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია პენსიების ოდენობაზე, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„I ჯგუფის ინვალიდებს — 50 მანეთი თვეში
II ჯგუფის ინვალიდებს — 30 მანეთი თვეში
III ჯგუფის ინვალიდებს — 16 მანეთი თვეში;

48 მუხლის ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია პენსიების ოდენობაზე, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ოჯახის სამ ან მეტ შრომისუნარმოკლებულ წევრზე — 50 მანეთი თვეში
ოჯახის ორ შრომისუნარმოკლებულ წევრზე — 30 მანეთი თვეში
ოჯახის ერთ შრომისუნარმოკლებულ წევრზე — 21 მანეთი თვეში“.

3. ამ ბრძანებულების ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია სახელმწიფო პენსიების მინიმალური ოდენობის გადიდებაზე I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის ვადიანი სამსახურის რიგითი, სერჟანტთა და ზემდეგთა შემადგენლობის იმ სამხედრო მოსამსახურეთაგან, რომლებიც დაინვალიდდნენ სსრ კავშირის დაცვის დროს ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად ან ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად, შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1965 წლის 1 მაისიდან, ხოლო ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია სახელმწიფო პენსიების მინიმალური ოდენობის გადიდებაზე სხვა კატეგორიის პენსიონერებისათვის — 1965 წლის 1 ოქტომბრიდან.

4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შეიტანოს ამ ბრძანებულებიდან გამომდინარე ცვლილებანი სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის წესის დებულებაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 31 დეკემბერი.

№ 3188-VI

ეროვნული ბიბლიოთეკა

განკოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

2 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ბ. ბ. ბოგოროვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ჰიდრობიოლოგიის დარგში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ბენიამინ გრიგოლის ძე **ბოგოროვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 29 დეკემბერი.
№ 3178-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

3 კომპოზიტორ დ. ბ. კაბალევსკის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების დარგში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით კომპოზიტორი დიმიტრი ბორისის ძე **კაბალევსკი** დაჯილდოვდეს **ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 29 დეკემბერი.
№ 3179-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

4 მწერალ რ. ი. სირგეს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით მწერალი რუდოლფ იოხანის ძე **სირგე** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 29 დეკემბერი.
№ 3180-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

5 სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. ა. კოვდას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ნიადაგმცოდნეობის დარგში დამსახურებისათვის, საერთაშორისო მეცნიერული თანამშრომლობის განვითარების ხაზით ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვიქტორ აბრამის ძე **კოვდა** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ბ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 30 დეკემბერი.
№ 3181-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

6 იაროსლავლის ფ. გ. ვოლკოვის სახელობის დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორ ფ. ე. შიშიგინისათვის სსრ კავშირის სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის იაროსლავლის ფ. გ. ვოლკოვის სახელობის დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორს ფირს ეფიმის ძე **შიშიგინს** მიენიჭოს **სსრ კავშირის სახალხო არტისტის** საპატიო წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ბ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 30 დეკემბერი.
№ 3182-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

7 მოსკოვის ზოოპარკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ცოდნის პროპაგანდაში დიდი მუშაობის გაწევისათვის და დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით **მოსკოვის ზოოპარკი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ბ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 31 დეკემბერი.
№ 3183-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

8 ამხ. ი. ა. მელნიკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიპლომატიურ სამუშაოზე დამსახურების აღსანიშნავად და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მალის რესპუბლიკაში ამხ. ივანე ალექსანდრეს ძე **მელნიკი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 31 დეკემბერი.
№ 3184-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

9 ამხ. ა. მ. ლედოვსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დიპლომატიურ სამუშაოზე დამსახურების აღსანიშნავად და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბირმის კავშირში ამხ. ანდრია მეთოდის ძე **ლედოვსკი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ჟ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 31 დეკემბერი.
№ 3185-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

10 მაიორ ბ. ი. რიაბცევისათვის საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სამხედრო მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი მამაცობისა, გამბედაობისა და გმირობისათვის მაიორ ბორის ივანეს ძე **რიაბცევს** მიენიჭოს **საბჭოთა კავშირის გმირის** წოდება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 31 დეკემბერი.
№ 3186-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

11 სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავ ან-2 ეკიპაჟის წევრების ამხ. ა. ბ. შეველევის და ამხ. ვ. ბ. ბაიდეცკის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის **დაჯილდოვდნენ:**

წითელი ვარსკვლავის ორდენით

თვითმფრინავის მეთაური ანატოლი გრიგოლის ძე **შეველევი.**

თვითმფრინავის მეორე პილოტი ვლადიმერ გიორგის ძე **ბაიდეცკი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 31 დეკემბერი.

№ 3187-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

12 ა. პ. გაიდარის (გოლიკოვის) სამამულო ომის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის დიდი სამამულო ომის დროს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის მწერალი არკადი პეტრეს ძე **გაიდარი (გოლიკოვი)** დაჯილდოვდეს **სამამულო ომის** I ხარისხის ორდენით სიკვდილშემდგომ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 31 დეკემბერი.

№ 3189-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

13 ინჟინერ ვ. ს. გუბინის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ოთხი ბავშვის სიცოცხლის გადარჩენის დროს გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის რუსეთის სფს რესპუბლიკის სამდინარო ფლოტის სამინის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროს ლენის აუზის საგზაო სამმართველოს ინჟინერი ვლადიმერ სერგის ძე **გუბინი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 5 იანვარი.

№ 3190-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

14 ამხ. პ. ტ. პიმენოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მდივანი ამხ. პეტრე ტიმოთეს ძე **პიმენოვი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 6 იანვარი.

№ 3191-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

15 საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის მეთაურის მ. მ. როდკინის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულების დროს თავდადებული მოქმედებისა და მამაცობის გამოჩენისათვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმის მეთაური მიხეილ მიხეილის ძე **როდკინი** დაჯილდოვდეს **წითელი ვარსკვლავის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 6 იანვარი.

№ 3192-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

16 მწერალ ნ. ნ. ტარნოვსკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე **ტარნოვსკი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 6 იანვარი.
№ 3193-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

17 აკადემიკოს ა. ა. იმშენეცკის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამამულო მიკრობიოლოგიური მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით აკადემიკოსი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე **იმშენეცკი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 7 იანვარი.
№ 3195-VI.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ა. ი. მიქოიანს რწმუნებების სიგელები გადასცა კენიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ა. ოტუკომ

იმასთან დაკავშირებით, რომ კენია გამოცხადდა რესპუბლიკად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიქოიანმა 1964 წლის 30 დეკემბერს კრემლში მიიღო კენიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ადალა ოტუკო, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ა. ი. მიქოიანსა და ა. ოტუკოს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ი. ა. მალიკმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 1 (270) 1965 წ. 15 იანვარი

გამომცემელი — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

(ქართულ და რუსულ ენებზე)

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 8, მთავრობის სახლი.

ფასი 10 კაპ.

ВЕДОМОСТИ ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ СОВЕТСКОЙ СОЦИАЛИСТИЧЕСКОЙ РЕСПУБЛИКИ

№ 1 (270) 15 января 1965 г.

Издатель — Президиум Верховного Совета ГССР

(На грузинском и русском языках)

Адрес редакции: Тбилиси, проспект Руставели 8, Дом Правительства.

ЦЕНА 10 КОП.

შეკვეთა № 15 ტირაჟი 2500

ხელმოწერილია დასაბეჭდად 1965 წ. 15 იანვარი

Подписано к печати 15 января 1965 г.

ს.ა.ს.ს.რ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

Типография Управления Делами Совета Министров Грузинской ССР